

ორთოტროპული არაერთგვაროვანი პრიზმული გარსისებური სხეულების ანტიბრტყელი დეფორმაციის (ძვრის) რხევის ერთი ამოცანის შესახებ

ნატალია ჩინჩალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

განხილულია ანტიბრტყელი დეფორმაციის (ძვრის) რხევის ამოცანა ორთოტროპული არაერთგვაროვანი პრიზმული გარსისებური სხეულებისთვის, როდესაც ძვრის მოდულები, როგორც სხეულის პროექციის წერტილების ფუნქციები, ნული ხდება საზღვრის ნაწილზე, კერძოდ ძვრის მოდულებს აქვს შემდეგი სახე

$$\mu_\alpha(x_1, x_2) = \mu_0^\alpha x_2^{\kappa_\alpha}, \quad 0 \leq x_2 \leq l, \quad \mu_0^\alpha, \kappa_\alpha, l = \text{const} > 0, \quad \alpha = 1, 2.$$